ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №415494

ნომერი: AR189800

თარიღი : 31.10.2012

გაცემის თარიღი : 01.11.2012

გაცნობის თარიღი : 02.11.2012

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , გამზირი აკაკი წერეთელი , N 2 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ნიკოლოზ ჯღარკავა პ/ნ 01031000804
- თბილისი მ.ქანთარიას ქ. N 8/10 ბ. 7

ორგანიზაცია:

- შპს "დინამო არენა" კოდი: 401961579

ნომენკლატურა :

- I კლასი
- 4 მ-მდე სიმაღლის მქონე ღობე
  ახალი მშენებლობა

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

I კლასის ღობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენს მიერ ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაცია, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი #2, სააქციო საზოგადოება "ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე I კლასის ღობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას. პასუხად გაცნობებთ, რომ ,,მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად თქვენს მიერ განსახორციელებელი სამუშაოები _ თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომლის მონტაჟი არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას, თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მერიის სსიპ ,,თბილისის არქიტექტურის სამსახური". ,, მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ატვირთული დოკუმენტაციის (ამონაწერი საჯარო რეესტიდან N 892012058065 24/10/2012 წ. საკადასტრო კოდი N 01.13.07.019.027, ასევე წარმოდგენილი საპროექტო ფოტომონტაჟი და მინდობილობა #13/I-კ, 31.10.2012 წ) ქალაქმშენებლობით დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი - დიდუბე, აკაკი წერეთლის გამზირი #2, სააქციო საზოგადოება "ბორის პაიჭაძის სახ. ეროვნული სტადიონი"-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე მდებარე I კლასის ღობის რეკონსტრუქციის შესაძლებლობას.
ღობე განთავსდეს თქვენს საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთის საკადასტრო წითელი ხაზების საზღვრებში.

ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.

სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.

აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. (+995 32) 272 22 22
ფაქს. (+995 32) 237 82 24
info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge